იმამ აშ-შატიბის

თეორია ისლამური სამართლის უზენაესი მიზნებისა და განზრახვების შესახებ



იასი-ს წიგნების სერია

იმამ აშ-შატიბის

თეორია ისლამური სამართლის უზენაესი მიზნებისა და განზრახვების შესახებ

აჰმად არ-რაისუნი

International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2023

იმამ აშ-შატიბის თეორია ისლამური სამართლის უზენაესი მიზნებისა და განზრახვების შესახებ (Georgian)
აჰმად არ-რაისუნი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
1444ჰ/2023
Paperback ISBN: 978-9941-33-443-6

Imam Al-Shatibi's Theory of The Higher Objectives and Intents of Islamic Law (Georgian)
Ahmad al-Raysuni
IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1435 AH/2013CE
Paperback ISBN: 978-1-56564-550-9
IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: დიანა ცეცხლაძე
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ნაზი კოჩალიძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარვასლა A-508
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბამისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „უნივერსალი", 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

დოქტორ აჰმად არ-რაისუნის მიერ თავდაპირველად არაბულ ენაზე დაწერილი ***„იმამ აშ-შატიბის თეორია ისლამური სამართლის უზენაესი მიზნებისა და განზრახვების შესახებ“,*** ინგლისურ ენაზე სრული სახით პირველად გამოქვეყნდა 2005 წელს, ხოლო ხელმეორედ - 2011 წელს.

ადრეული ისლამური ხანის მიწურულს, მუსლიმ სწავლულებს გაუჩნდათ განცდა იმისა, რომ ერთი

მხრივ, ისლამის მოძღვრებებს და პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ, მუსლიმთა ყოველდღიურ რეალობასა და საქმიანობას შორის სერიოზული ბზარი წარმოიქმნა. მუსლიმებსა და ყურანს შორის ახლო კავშირის აღდგენის უმთავრეს გზად სწავლულები ისლამის მიზნების, სამართლებრივი დადგენილებებისა და შარიათის ანუ ისლამური კანონმდებლობის ძირითადი განზრახვებისა და ამოცანების შესწავლაში ხედავდნენ. მათი ძალისხმევით გახდა ნათელი, რომ ისლამში ყოველ სამართლებრივ დადგენილებას გააჩნია გარკვეული ფუნქცია და დანიშნულება, პირდაპირი თუ ფარული მიზეზი და მიზანი, რომლის მიღწევისკენ ის ისწრაფვის, რათა ადამიანებს მოუტანოს სარგებელი ან დაიცვას ისინი რაიმე სახის ზიანისგან. სწავლულებმა აჩვენეს, რომ რიგ შემთხვევაში ზემოთხსენებული მისწრაფებები და უზენაესი მიზნები მკაფიოდ ჩანს ყურანისა და სუნას ტექსტებში, მაშინ როცა სხვა ხანებში სწავლულებს შეეძლოთ, ყურანისა და სუნას მათეულ გაგებაზე დაყრდნობითა და არგუმენტირებული მსჯელობის გზით, კონკრეტული დროისა და სივრცის ფარგლებში, ამ მისწრაფებების გამოაშკარავება.

წინამდებარე ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი ისლამური სამართლის მიზნების ყოვლისმომცველი თეორია სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, ისე როგორც მიზნებზე დაფუძნებული აზროვნების გულდასმით გამოკვლევა, რომელიც პირველად განახორციელა მიზნებზე დაფუძნებული სამართალმცოდნეობის მამამთავარმა, იმამ აბუ ისჰაკ აშ-შატიბიმ. ამასთან ერ-

თად, ავტორი წარმოგვიდგენს საკუთრივ ალ-შატიბის შესახებ მნიშვნელოვან გამოკვლევას, რაც მოიცავს სასარგებლო ინფორმაციას ამ პატივსაცემი იმამის ცხოვრების, აზროვნებისა და მეთოდის შესახებ.

აჰმად არ-რაისუნის ნაშრომის - „იმამ აშ-შატიბის თეორია ისლამური სამართლის უზენაესი მიზნებისა და განზრახვების შესახებ“ - შემოკლებული გამოცემა.

ISBN hbk: 978-1-56564-413-1

ISBN pbk: 978-1-56564-412-3

2005. ხელმეორედ გამოიცა 2011წელს

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის ავტორი დოქტორ აჰმად რაისუნი ცნობილი მეცნიერი და *„მაკᾱṣიდ აშ-შარი'ას“* (ისლამური სამართლის უზენაესი მიზნები და განზრახვები) დარგის სპეციალისტია. *„ალ-მაკᾱṣიდის“* ცოდნა, რომელიც წინამდებარე ნაშრომში თარგმნილია, როგორც „უზენაესი მიზნები“ ან „განზრახვები“, ისლამური აზროვნებისთვის დღეს არსებული გამოწვევების გადაჭრის აუცილებელი წინაპირობაა. ამგვარ ცოდნას შეუძლია ხელი შეუწყოს მიზნებზე დაფუძნებული *ფიკჰის* ჩამოყალიბებას და გვეხმარება, გავიგოთ და დავაფასოთ ღვთაებრივი სიბრძნის კონცეფცია, რომელზეც დაფუძნებულია ისლამური დადგენილებები.

ადრეულ ისლამურ პერიოდში სწავლულებმა დაინახეს ბზარი ერთი მხრივ, ისლამის მოძღვრებებს და პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ, მუსლიმთა ყოველდღიურ რეალობასა და საქმიანობას შორის. ადამიანებისთვის სარგებლის მიღებაში დასახმარებლად და მათთვის შესაძლო ზიანის ასარიდებლად, მათ განმარტეს ისლამის მიზნები და სამართლებრივი დადგენილებები, ისე როგორც შარიათის, ანუ ისლამური სამართლის, განზრახვები, ამოცანები და ფუნქციები. ამ სწავლულებმა აჩვენეს, თუ როგორ მკაფიოდ არის გადმოცემული ზემოთ-

ხსენებული განზრახვები და ამოცანები ყურანსა და სუნაში ან როგორ არიან ისინი გაშუქებული ყოვლისმომცველი *იჯთიჰადით* (დამოუკიდებელი განსჯით). დღეს ამ უმთავრესი მიზნების დინამიური, მიზანდასახული გაცნობიერება შესაძლებელია მხოლოდ მათში გასარკვევად მიმართული გამუდმებული აკადემიური ძალისხმევის გზით.

სუნა შთააგონებს გადაწყვეტილებებს, კანონებს, პრაქტიკულ კონცეფციებსა და სოციალურ სისტემებს, რათა მიღწეულ იქნეს ისლამის მიზნები და განათლდეს უმმა. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გაგების მეთოდებზე მორგებულ, ყურანსა და სუნაზე და მათგან ინსპირირებულ შთაგონებასა და მითითებებზე დაფუძნებულ გამორჩეულ მოდელს. იმამი აბუ ისჰაკ აშ-შატიბი (გარდ. 790ჰ/1388წ) ამ წიგნის მთავარი გმირი, აღწერდა რა ისლამური სამართლის პრინციპებსა და მიზნებს, შთააგონებდა ადამიანებს, შეესწავლათ ისინი. სწორედ მისი მეთოდების დამსახურებით შეიქმნა ყურანისა და სუნას გონივრული და არგუმენტირებული გაგება.

ინტერესზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია უნდა იყოს ჩვენს მიერ ამგვარი ტექსტების შეთვისებული მნიშვნელობებისა და მიწერილობების გაგების საფუძველი. წინამდებარე წიგნი ხაზს უსვამს უნივერსალური სამართლებრივი ცნებებისადმი ნდობისა და ჩვენს მიერ მათ გაგებაზე და გარკვეული ტექსტების გამოყენებაზე გავლენის მოხდენის მნიშვნელობას. რადგან ისლამური სამართლის უნივერსალური პრინციპები და ამოცანები

იჯთიჰადის ნებისმიერი აქტისთვის და ისლამური აზროვნებისთვის ურყევ საფუძველს წარმოადგენს, აუცილებელია ამ პრინციპებისა და ამოცანების მნიშვნელობის ხელახლა დამკვიდრება.

მუსლიმური აზროვნების კრიზისის თვალსაჩინო გამოვლინებაა სტანდარტებსა და პრინციპებს შორის არსებული დისბალანსი. ჩვენი აკადემიური და პრაქტიკული ცხოვრება ზარალდება ღირებულებებსა და პრიორიტეტებს შორის არსებული დისბალანსისა და წინააღმდეგობების გამო. ყურადღება ექცევა ფორმალობებსა და გარეგნულ მხარეს, ხოლო არსი და მიზნები კი უგულებელყოფილია. მნიშვნელოვნად მიიჩნევა გარკვეული დეტალები. საყოველთაო ცნებები, უნივერსალიები კი ნებისმიერი პრაქტიკული მიზნის მისაღწევად დავიწყებული. მუსლიმი სწავლულებისთვის, მოაზროვნეებისა და მათთვის, ვინც სხვებს მოუწოდებს, მოექცნენ ისლამურ რწმენას, ეს საკითხი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია. ამ პრობლემიდან გამოსავალს წარმოადგენს არსებული პრიორიტეტების გადახედვა და მუსლიმთა სტანდარტებისა და ღირებულებების სისტემის რეკონსტრუქცია.

ავტორი წარმოგვიდგენს ისლამური სამართლის მიზნების ყოვლისმომცველ თეორიას მისი სხვადასხვა ასპექტით და შეისწავლის მიზნებზე დაფუძნებულ აზროვნებას, როგორც ეს პირველად გააკეთა მიზნებზე დაფუძნებული სამართალმცოდნეობის მამამთავარმა აბუ ისჰაკ აშ-შატიბიმ. ავტორი აშ-შატიბის ნაშრომების-

გან ამონარიდების სახით იღებს „მიზნებზე დაფუძნებული პრინციპებს“ და გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ უზენაესი კანონმდებლის მიზნები. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება მიზნებზე დაფუძნებულ *იჯთიჰადსა* და მიზნებზე დაფუძნებულ იურისპრუდენციაში ჩართვის უნარი. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია „ცოცხალი სამართალმცოდნეობის“ მაგალითები იმ პრინციპებსა და ნორმებთან ერთად, რომლებიც მის საფუძველს ქმნიან. ისლამის იურისპრუდენციას შესწევს უნარი, შექმნას ნორმები თანამედროვე ისლამური ცხოვრებისთვის.

ავტორის წინასიტყვაობა

მაკᾱṣიდი და უზენაესი მიზნების თეორია

თუნისელმა სწავლულმა, მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშურმა, ისლამური სამართლის უზენაესი მიზნები განსაზღვრა, როგორც „უზენაესი კანონმდებლის აზრები და ბრძნული მიზნები, რაც შეიძლება აღმოვაჩინოთ ყველა ან თითქმის ყველა იმ სიტუაციაში, რომელშიც გამოიყენება კანონი...“ მან ახსენა სამართლის ზოგადი მიზნები, როგორიცაა წესრიგის დაცვა, სარგებლის მოპოვება, ზარალის ან ზიანის არიდება და ადამიანთა შორის თანასწორობის დამკვიდრება.

მაროკოელმა მწერალმა, ალლალ ალ-ფასიმ *„მაკᾱṣიდ აშ-შარი'ას“* უწოდა „...ფუძემდებლური მიზნები, რომლებიც უზენაესმა კანონმდებელმა თითოეულ თავის მიწერილობაში ჩადო“. *„ალ-მაკᾱṣიდი“* იმ კანონის მიზნებს წარმოადგენს, რომლის დანიშნულებაცაა, ემსახუროს კაცობრიობის კეთილდღეობას. მიზნები რამდენიმე სახეობად იყოფა: ზოგადი მიზნები, რომელთა მიღწევას კანონი მიისწრაფვის სამართლის უმრავლეს სფეროში; *„მაკᾱṣიდის“* სპეციფიკური მიზნები - მათ მიღწევას კანონმდებლობა სპეციფიკურ სფეროებში, ანუ ის-

ლამური სამართლის შეზღუდული რაოდენობის შედარებით სფეროებში ცდილობს; და კონკრეტული მიზნები, რომლებსაც უზენაესი კანონმდებელი ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ დადგენილებაში ავლენს.

სამართალმცოდნეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიზნების სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას ანიჭებენ. ისინი ამ მიზნებს ასევე განიხილავენ შემდეგი ტერმინებით: „ბრძნული განზრახვა“ *(ḥiqma)*, „საფუძველი“ (*ʿilla*), ან „აზრი“ *(maʿna)*. *„ḥiqma“* „განზრახვის“ ანუ *„kaṣd“*-ის სინონიმად გამოიყენება, თუმცა სამართალმცოდნეები პირველს უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე - უკანასკნელს. როცა სამართალმცოდნეები და სხვები *„ḥiqmas“* იყენებენ, ისინი უზენაესი კანონმდებლის განზრახვას გულისხმობენ.

„საფუძველი“ *(ʿilla)* აღნიშნავს უზენაესი კანონმდებლის მიზანს და „ბრძნული განზრახვის“ სინონიმია. ის უმთავრესად აღნიშნავს ხილვად, ცხად მდგომარეობას ან სიტუაციას, რომელსაც ეფუძნება სამართლებრივი დადგენილება, რადგან, როგორც წესი, „ბრძნული განზრახვა“ მოცემული დადგენილების უკან ხილვად, ცხად მდგომარეობას ან სიტუაციას უკავშირდება. უზენაესი კანონმდებელი აკავშირებს შესაბამის დადგენილებებს ხილვად, ცხად მტკიცებულებებთან იმისათვის, რათა აირიდოს კანონში ბუნდოვანება და ორაზროვნება.

აშ-შატიბმა განსაზღვრა და გამოიყენა *„ʿilla“* თავისი პირვანდელი, უფრო ზუსტი მნიშვნელობით -

„ბრძანებებთან ან დადგენილებებთან დაკავშირებული ბრძნული განზრახვები და სარგებელი“. აშ-შატიბი უწოდებს მას „თავად სარგებელს ან თავად ზიანს, იქნება ის ხილული თუ უხილავი, და არა მის შესაძლო მიზეზს“. მისი განმარტებით „*ʻილლაჰ*“ აღნიშნავს სარგებელს, რომლის მიღწევაცაა მიწერილობის მიზანი, ან ზიანს, რომლის არიდებას ცდილობს ის. ეს ინტერპრეტაცია შეესაბამება ტერმინის პირვანდელ გამოყენებას და ყველაზე უფრო გამოადგება მათ, ვინც დაკავებულია ისლამური სამართლის მიზნების შესწავლით, რადგან მათი შესწავლა სამართლებრივი მიწერილობების ჭეშმარიტი საფუძვლების შესწავლას ნიშნავს. ტერმინის „*ʻილლაჰ*“ თავდაპირველი მნიშვნელობიდან წარმოდგა ასევე ტერმინი „*თაʻლილ*“, რომელიც ზოგადად აღნიშნავს ისლამური სამართლებრივი მიწერილობის განმარტებას სარგებლის მოტანისა და ზიანის არიდების კუთხით. ადრეული ხანის სწავლულების მსგავსად, აშ-შატიბი ხშირად იყენებდა სიტყვას „აზრები“ ისლამური სამართლის მიზნებზე საუბრისას, ვიდრე ეს სიტყვა თანდათანობით არ ჩაანაცვლა „საფუძველმა“ (*ʻილლაჰ*), „ბრძნულმა განზრახვამ“ (*ḥიქმა*) და „მიზანმა“ (*მაკṣუდ*).

„მიზნების თეორიის“ კონცეფცია გამოხატავს სისტემას ან ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც აწესრიგებს ისლამის სამართლებრივ დადგენილებებსა და მათ მტკიცებულებებს, ანიჭებს რა მათ ერთიან განზომილებას და ერთგვაროვან მნიშვნელობას. ეს თეორია მოიცავს სხვადასხვა იურიდიულ თეორიას, სამართლებრივ პრინციპებსა და კონკრეტულ დადგენილებებს. მიზნების

თეორია შემუშავდება საღი, რაციონალური კვლევის შედეგად. ის ეფუძნება ღმერთის სამართლის, როგორც სიბრძნის, შეწყალების, სამართლიანობისა და თანასწორობის სამართლის, რწმენას. უზენაესი მიზნების თეორიას ამყარებს ისლამური სამართლის დეტალების ინდუქციური ანალიზი. დამატებით, მიზნების თეორია ძლიერ მხარდაჭერას პოულობს იმ ტექსტებში, რომლებიც აღიარებულია საბოლოო სრუქმნილი სახის მქონედ.

ეყრდნობა რა ამ საფუძველს, მიზნების თეორია აწესრიგებს ისლამური სამართლის დეტალებს და აძლევს მიმართულებას ყოველგვარ გაგებასა და დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას. ამ პროცესში ათვლის წერტილს წარმოადგენს უპირობო აღიარება იმისა, რომ კანონი იყო დადგენილი ადამიანებისთვის როგორც ამქვეყნიურ, ისევე იმქვეყნიურ ცხოვრებაში სარგებლის მოტანის და ზიანისგან მათი დაცვის მიზნით. მიზნების თეორია ისლამში სარგებლის ერთგვარ სკალას განსაზღვრავს: "არსებითი, ფუძემდებლური" („*დარურიდა*") შემდგომ „აუცილებელი" („*ჰაჯიდა*") „შემავსებელი" („*თაქმილიდა*"). დღემდე ისლამური სამართლის მიზნების შესწავლაში არავის შეუტანია აშ-შატიბიზე უფრო დიდი წვლილი.

„მაღალი მიზნების" ცნება აშ-შატიბიმდე

აშ-შატიბის დრომდე ისლამური სამართლის მიზნების თემაზე შექმნილი ნაშრომების მიმოხილვა ქმნის მი-

სი თეორიის ობიექტურ ისტორიულ შესავალს. ამგვარი მიმოხილვიდან ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც აშ-შატიბიმდე გადაიდგა ისლამური კანონის მიზნების დასადგენად, ნათელს ხდის მათ ზოგად მნიშვნელობას და გვიჩვენებს ზემოხსენებული თეორიის ფესვებსა და წყაროებს.

ბუნებრივია, რომ ისლამური სამართლის მიზნების შესწავლისას ყურადღების სფეროში ექცევა ისლამური სამართალმცოდნეობა (*ფიკჰი*) და მისი საფუძვლები (*უსულ ალ-ფიკჰ*). მიზნების მიმართ ინტერესი გამოკვეთილია „*ფუკაჰა*'"-ს (ისინი, ვინც ისლამურ სამართალში დეტალებსა და პრაქტიკულ გამოყენებაზე ფოკუსირდებიან - იურისტები) და „*უსულიიუნ*"-ის (ისინი, ვინც ქმნის ისლამური სამართლის თეორიებს და აყალიბებს საფუძვლებს) ნაშრომებში. აშ-შატიბი ორივე ჯგუფის ნაშრომებს ეყრდნობოდა, თუმცა ყურადღებას ამახვილებდა „მიზნების" ცნებაზე, როგორც ამას „*უსულიიუნის*» და მალიქიტური მაზჰაბის სკოლა ხედავდა. *ფიკჰთან* დაკავშირებული ასპექტი აშ-შატიბის ნააზრევში მალიქიტური მაზჰაბის სკოლით და ისლამური სამართლის მიზნების თემატიკით შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ „*ფუკაჰა*'" ავლენს ისლამური სამართლის მიზნების საკითხში მეტ ცოდნასა და ინტერესს, „*უსულიიუნ*"-მა ისინი პირველებმა განიხილეს და ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

ალ-ჯუვაᲘნი და ალ-ღაზᲐლი იმ მოაზროვნეთა ჯაჭვის თვალსაჩინო წევრებს წარმოადგენენ, რომლებმაც *„უსᲣლ ალ-ფიკᲰის“* შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს *„ალ-მაკᲐსიდის“* თემის წინ წამოწევითა და ზოგიერთი ასპექტის განმარტებით. *„უსᲣლიᲘᲘᲣნ-მა“* თავიანთ ნაშრომებში მანამდე არსებული ყველა ინტერპრეტაცია და თეორია გაითავისეს. *„უსᲣლთან“* დაკავშირებული გადმომცემთა ტრადიციული ჯაჭვი საწყისს იღებს ალ-ღაზᲐლისგან. ჰიჯრის მე-3 საუკუნეში ისლამური სამართლის მიზნებზე ახდენდა ასევე ფოკუსირებას სუფი ფილოსოფოსი, *ალ-ᲰᲐქიმ ათ-თირმიზი,* რომელიც ეძებდა ისლამის სამართლებრივი მიწერილობების საფუძველს და მათში დაფარულ სიბრძნეს. ის იყო ერთ-ერთი პირველი სწავლული, რომელმაც გამოიყენა ტერმინი „*მაკᲐსიდ*“. ათ-თირმიზი ადგენდა ისლამურ რელიგიურ ვალდებულებებს არგუმენტირებული განსჯის გზით.

„უსᲣლ ალ-ფიკᲰის“ შემსწავლელმა ადრეული ხანის სწავლულებმა გააერთიანეს თეოლოგია სამართალმცოდნეობასთან. ისლამური სამართლის მიზნებს განიხილავდა არაერთი ცნობილი „უსᲣლიᲘᲘᲣნ-ი“. ალ-ჯუვაᲘნიმ (გარდ. 478Ჰ) დაწერა „მტკიცებულება“ (*ალ-ᲑურᲰᲐნ*), რომელიც *„უსᲣლ ალ-ფიკᲰის“* თემაზე ყველა ნაშრომისთვის ათვლის წერტილად იქცა და უდიდესი გავლენა იქონია ალ-ჯუვაᲘნის მოწაფეზე, იმამ აბუ Ჰამიდ ალ-ღაზᲐლიზე. ალ-ჯუვაᲘნის ყველაზე დიდი წვლილი სამართლის მიზნების განხილვაში მდგომარეობს, კიდევ მის

მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი პრინციპების დაყოფაში ისლამური სამართლის შემდეგ საფუძვლებად და მიზნებად: საფუძვლები, რომლებიც უდანაშაულო ადამიანებს ზიანისგან იცავს; ზოგადი საჭიროებები, რომლებიც საფუძვლების კატეგორიას არ მიეკუთვნება; ისინი, რომლებიც დაკავშირებული არიან კეთილშობილური თვისებების შეძენასთან და მავნე თვისებების უკუგდებასთან, როგორიცაა მაგალითად რიტუალურ განწმენდასთან დაკავშირებული საკითხები; ისინი, რომლებიც დაყვანილია „რეკომენდირებულ“ ქმედებებამდე, რათა მოხდეს სიქველისა თუ კეთილშობილური საქმეების წახალისება; და ისინი, რომლებსაც აკლია მკაფიო განმარტება ან მიზანი.

ამგვარად ალ-ჯუვაᲘნᲘმ გააერთიანა უზენაესი კანონმდებლის მიზნები „ფუძემდებლურ“, „საჭირო“ და „გამაუმჯობესებელ“ კატეგორიებად. ეს დაყოფა „მაკᲘსᲘიდის“ საკითხის ირგვლივ გამართულ ყველა დისკუსიის საფუძვლად იქცა. ალ-ჯუვაᲘნᲘმ პირველმა გამოყო ისლამურ სამართალში ხუთი სასიცოცხლოდ აუცილებელი შემადგენელი: რელიგია, ადამიანის სიცოცხლე, გონება, შთამომავლობა და კეთილდღეობა.

იმამ ალ-ღაზᲘლᲘ (გარდ. 505ჰ) *„უსᲘულ ალ-ფიკჰის“* და ისლამური სამართლის მიზნების შესწავლის პიონერად იქცა. ის იკვლევდა *„თა‘ლᲘილის“*, ანუ სამართლებრივი დადგენილებების ინტერპრეტაციის მიდგომებს, საწყისად კი იღებდა მათი საფუძვლებს თუ ფუძეებს (‘ილალ). ისლამურ სამართალში მკაფიოდ გამოხატულ

ინტერესებს ის განსაზღვრავდა, როგორც „...უზენაესი კანონმდებლის მიზნის დაცვას“. ალ-ღაზალიმ განსაზღვრა ისლამური სამართლის ცენტრალური მიზნები, რომელთა ირგვლივ მოქცეულია ყველ ა ლეგიტიმური განზრახვა და ინტერესი. ის ჰყოფს მათ *„სულიერ“* (ან „რელიგიურ“) და „მიწიერ, ამქვეყნიურ“ კატეგორიებად. ის ასკვნის, რომ *„ის, რაც ზღუდავს დასაგმობ საქმეებს, უნდა იყოს რელიგიასთან დაკავშირებულ ყველა ინტერესის მომცველი, თუმცა ამავდროულად შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწიერ ინტერესებთანაც“.* სულიერი ინტერესი მიწიერზე ზემოთ დააყენებაზე უფრო მეტად, ალ-ღაზალი სამართლის უზენაესი მიზნების სიის სათავეში აქცევს „რელიგის დაცვას“.

მიჰყვება რა ალ-ჯუვაჲნის გზას, ალ-ღაზალი ჰყოფს კატეგორიებად ისლამური კანონის ინტერესებს მათი მყისერად აღსრულების საჭიროებისა და მკაფიოობის ხარისხიდან გამომდინარე, ამ კატეგორიებს კი არქმევს „საფუძვლებს“, „საჭიროებებს“ და „გამაუმჯობესებლებს“. მან განსაზღვრა პარამეტრები „უსულიჲჲუნისთვის“ იმამ აშ-შატიბის დრომდე, რომელიც, თავის მხრივ, *„უსულ ალ-ფიკჰის“* ისტორიაში შემობრუნების მესამე წერტილს წარმოადგენს. ალ-ღაზალიმ გავლენა მოახდინა მე-13 და მე-14 საუკუნეების ისეთ მნიშვნელოვან სწავლულებზე, როგორებიც იყვნენ ფახრ ად-დინ არ-რაზი, საიფ ად-დინ ალ-ამიდი, იბნ ალ-ჰაჯიბ, ალ-ბაჲდავი, ალ-ისნავი, იბნ ალ-სუბქი, იზზ ად-დინ იბნ ‘აბდ ას-სალამი და იბნ თაჲმიჲა. ამ სწავლულებმა ჩართეს

ალ-ღაზალის პრინციპები თავიანთ სამართლებრივ ანალიზებში, ასევე განსაზღვრეს მათი გამოყენების შედეგები საზოგადოებისთვის. იბნ თაიმიია მიიჩნევდა, რომ *„უსულიةةუნის“* ხუთი მიზანი ზღუდავდა ისლამური სამართლის საფუძვლებს და არ მოიცავდა კანონის ყველაზე უზენაეს და მნიშვნელოვან მიზნებს.

მალიქიტური სკოლის (მაზჰაბის) მიზნების ცოდნა გვეხმარება, გავიგოთ აშ-შატიბის თეორიის წარმომავლობა და საფუძვლები. ეს სკოლა, რომელმაც გავლენა მოახდინა აშ-შატიბის მოღვაწეობაზე, განსხვავდება სხვა ისლამური სამართლებრივი სკოლებისგან თავისი განსაკუთრებული ინტერესით ისლამის მიზნების მიმართ და ამ მიზნების გათვალისწინებით. აშ-შატიბი სწორედ ამ ჩაკეტილი ისლამური გარემოს ნაწილი იყო, რომელიც თითქმის არ ურთიერთქმედებდა სხვა ისლამური სამართლებრივ სკოლებთან.

იმამ მალიქ იბნ ანასს მემკვიდრეობით ერგო სკოლა განვითარებული, ჩამოყალიბებული სისტემის სახით. მალიქი მიიჩნევდა საკუთარ თავს იმ სკოლის მიმდევრად, რომელიც მემკვიდრეობით ერგო მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.)[1] კომპანიონებისგან ნარატივებისა და პრაქ-

---

[1] **صلى الله عليه و سلم** (ṣალლა ლლაჰუ ‘ალაةჰი ვა სალლამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როდესაც წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები.

ტიკული გამოყენების გზით. მას ეკუთვნის დამოუკიდებელი განმარტებები და მსჯელობები, და თავის ნაშრომების ამოსავალ წყაროდ მედინას სკოლის სწავლულების ცოდნას იყენებდა.

‘უმარ იბნ ალ-ხატტაბი საწყისი რგოლი იყო მედინაში გაბატონებული *„ფიკჰის“* სკოლაში. მალიქიტური (მაზჰაბის) სკოლას ‘უმარს უკავშირებენ, თუმცა ეს სკოლა წარმოიშვა საკუთრივ ისლამის მისეული განმარტებებისა და მსჯელობებისგან დამოუკიდებლად. მისი [‘უმარის] კვალი ნათლად ჩანს მალიქის წიგნში, „ალ-მუვატტა’“ და მისი *„ფიკჰში“*, სამართლებრივ მიწერილობებში, „ფათვებში“, სუნასა ღმერთის შუამავლის მაგალითზე დამყარებულ ტრადიციებში. მედინას მცხოვრებლების წეს-ჩვეულებების უმეტესობა საფუძველს იღებს როგორც შუამავლის სუნასგან, ასევე მართლმორწმუნე ხალიფების მიერ შემოღებული წეს-ჩვეულებებისგან და ‘უმარის დროიდან. პირველად სწორედ ‘უმარმა დაამკვიდრა პირველად შეუზღუდავი ინტერესების პრინციპი, *„ალ-მასᲗალიჰ ალ-მურსალა“* და ორაზროვანი სამართლებრივი მექანიზმების, *„სად აზ-ზარᲗ‘ი“*‘, აკრძალვა თეორიასა და პრაქტიკაში.

იბნ თაᲲმიᲲა უწოდებდა მედინას სკოლას აღმატებულს, ავტორიტეტულსა და გონივრულს. ის აცხადებდა, რომ ვისაც არ უნდა განეხილა ისლამის საფუძვლები და ისლამური სამართლის პრინციპები, ის აღმოაჩენდა, რომ მალიქისა და „მედინას მცხოვრებლების ძირითადი პრინციპები ყველა არსებულ პრინციპსა და წესზე უფრო გო-

ნივრული იყო“. ისლამი ყველაზე სრულყოფილად მედინას ქალაქში ჩამოყალიბდა, სადაც ის სტაბილური და სრულყოფილი გახდა და სადაც მართლმორწმუნე ხალიფების მიერ დადგენილი პრაქტიკები შთაგონების მოდელად იქცა. ისლამი გავრცელდა შორეულ რეგიონებში, სადაც მუსლიმმა სწავლულებმა მედინას მემკვიდრეობა შეითვისეს.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი მალიქიტური პრინციპები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ისლამური სამართლის მიზნებს. სარგებლის ან ინტერესის (*ალ–მასᵢლაჰᵢ*) კონცეფციის დასახვის პრაქტიკა, როგორც ისლამის სამართლებრივი დადგენილებების განმსაზღვრელი პრაქტიკა, სათავეს იღებს შუამავლის კომპანიონებისგან, პირველ რიგში კი ‘უმარისგან. ალ-ღაზᵃლᵢ ხაზს უსვამდა: „კომპანიონები, ღმერთმა დალოცოს ისინი, მუსლიმი ხალხისთვის ნიმუშს წარმოადგენენ, როცა საქმე ეხება კიᵢᵃსის პრაქტიკულ გამოყენებას - უდავოდ დადგენილია, რომ ამ თვალსაზრისით ისინი საერთო ინტერესებს ეყრდნობოდნენ“.

ალ-ღაზᵃლᵢმ ვალიდურობა მიანიჭა ადამიანების ინტერესების გამოყენების პრაქტიკას, როგორც მტკიცებულებათა წყაროს, რომელზედაც უნდა დაფუძნდეს სამართლებრივი მიწერილობები, როგორც ამას შუამავლის კომპანიონები აკეთებდნენ. ის მოცემულობად მიიჩნევდა, რომ ადამიანების გათვალისწინებული ინტერესი უზენაესი კანონმდებლის მიერ აღიარებული ინტერესების მსგავსია. ყველაზე მნიშვნელოვანია კავშირი ადამია-

ნის ინტერესსა და უზენაესი კანონმდებლის მიზნებს შორის. უზენაესი კანონმდებლის მიზნები შეიძლება შეჯამდეს, როგორც „სარგებლის (ინტერესების) მიღწევა და ზიანის აცილება“. ეს კავშირი ისლამური სამართლის ყველა მიწერილობაში იკითხება, განსაკუთრებით კი მათში, რომლებიც ეხება წეს-ჩვეულებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას (გარიგებებს).

იურისპრუდენციის პრინციპების ყოველი დამოუკიდებელი განმარტება უნდა ეფუძნებოდეს *„ისთისლაჰს“*. შესაბამისი ტექსტებისა და მათგან გამოტანილი დასკვნების გაგება უნდა ამოდიოდეს იმ პრინციპიდან, რომლის თანახმადაც ამ ტექსტების მიზანია, მიაღწიოს სარგებელს და აიცილოს ზიანი. ნებისმიერი ამგვარი ტექსტის გაგების მცდელობასა და ორ მიწერილობას შორის ანალოგიის გავლებისას სწორედ ეს პრინციპი უნდა იყოს გათვალისწინებული.

მალიქიტური სკოლის ამოსავალი პრინციპები განსხვავებულია „შეუზღუდავი ინტერესების“ გაგების თვალსაზრისით. ეს სკოლა ასევე ყველაზე მეტად ითვალისწინებს ადამიანების ინტერესებს ანუ სარგებელს, რადგან ეს ინტერესები ისლამური სამართლის საერთო მიზანს განასახიერებენ ისევე, როგორც ამ კანონის ყოველი დადგენილების უკან მდგომ კონკრეტულ მიზანსა თუ განზრახვას, განსაკუთრებით კი წეს-ჩვეულებებისა და ყოველდღიური საქმიანობის შემთხვევაში. არსებითად, უზენაესი კანონმდებელი არ კრძალავს იმას, რაც ემსახურება უმაღლეს ინტერესს. ინტერესზე დაფუძნე-

ბულ მიდგომას ნამდვილად ხანგრძლივი ისტორია აქვს მალიქიტური მაზჰაბის ტრადიციაში.

„ისთიჰსანის“ თეორია ისლამური სამართლის ფარგლებში ჩამოყალიბდა. მას ხაზი გაესვა შუამავლის მიერ მისი გამოყენებით, მეტად მკაფიოდ კი ის განივრცო მას მერე, რაც ღვთაებრივი გამოცხადების აღსრულებამ მისი საჭიროება გაზარდა. ეს განვრცობა და სიცხადე იყო მიღწეული მართალმორწმუნე ხალიფების მაგალითების, უფრო მეტად კი ‘უმარ იბნ ალ-ხატტაბის გამოცდილებებისა და სწავლებების მეშვეობით. მალიქმა გაიგო და გამოიყენა *„ისთიჰსანი“*, როგორც ერთადერთი, მკაფიოდ განსაზღვრული მნიშვნელობა ადამიანების ინტერესების გათვალისწინებისა.

აბუ ჰანიფამ მიაღწია ისლამის სამართლის ინტერესზე დაფუძნებული მიზნების უფრო ღრმა გაგებას, რომლებიც გამოხატულია სამართლის, მისი მიწერილობების და *„ისთიჰსანის“* ცნების მისეულ განმარტებებში. ჰანაფიტები, შესაძლოა, ვერ თანხმდებოდნენ ერთადერთ, ყველასათვის გასაგებ განმარტებაზე. *„ისთიჰსანის“* მათეული კონცეფცია ისლამურ სამართალში ადამიანების ინტერესების შვილობილი თეორიაა.

თუ მალიქიტური შეხედულებით, *„ისთიჰსანი“* შეადგენს *ფიკჰის* დამოუკიდებელი ინტერპრეტირების ცხრა მეათედს და თუ *„ისთიჰსანის“* მნიშვნელობა ადამიანის ინტერესისა და სამართლიანობის გათვალისწინებაა, მაშინ სამართალმცოდნეს არასოდეს არ უნდა გა-

მორჩეს მხედველობიდან უზენაესი კანონმდებლის განზრახვა, დაიცვას ადამიანის ინტერესები და სამართლიანობა. ანალოგიურად, თუ ის ხედავს, რომ ზიანი უკვე მიყენებულია, *„ისთიჰსანი“* მოითხოვს მისგან დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას და *ფათვას* გამოცემას, რათა ეს ზიანი აღმოიფხვრას. მალიქიტური *„ისთიჰსანი“* ნიშნავს ადამიანების ინტერესებისადმი და მათთვის ზიანის არიდებისადმი ერთგულებას, იმ შემთხვევაში კი, თუ არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ტექსტი, - ადამიანის ინტერესით ხელმძღვანელობას. ამგვარი ინტერპრეტაციებით კავშირი მყარდება უზენაესი კანონმდებლის განზრახვასა და ადამიანის ინტერესებს შორის. ასეთი განმარტება აკავშირებს სამართლებრივ დადგენილებასა და ადამიანის იმ ინტერესებს, რომელთა დაცვასაც ის ემსახურება, როცა შესაბამისი ტექსტების გაგება ხდება მათი მიზნებისა *(მაკასიდ)* და საფუძვლის (‘ილალ) ჭრილში.

მალიქიტური მაზჰაბი და სხვები ასევე მხარს უჭერდნენ *„სად აზ-ზარა’ი‘ის“,* ანუ ორაზროვანი სამართლებრივი მექანიზმების აკრძალვას. ეს ინსტრუმენტი უზენაესი კანონმდებლის განზრახვის (დაიცვას ადამიანის ინტერესი სარგებლის მიღწევისა და ზიანის არიდების გზით) გათვალისწინების კიდევ ერთი ასპექტია. თანამედროვე მწერლები ამ თემას ეხებიან *„უსულ ალ-ფიკჰის“* შესახებ ნაშრომებში. ის ეფუძნება დაშვებას, რომ უზენაესმა კანონმდებელმა დააწესა სამართლებრივი მიწერილობები მხოლოდ სარგებლის მიღების და ზიანის

თავიდან აცილების მიზნების მიღწევისთვის. თუ მიწერილობები გამოყენებული იქნება სხვა, განსხვავებული მიზნების მიღწევის საბაბად, რომლებიც არ ემთხვევა თავდაპირველ საკანონმდებლო მიწერილობებს ანდა რომელთა მიზანიცაა ამ მიწერილობების საწინააღმდეგო შეეგების მიღწევა, სამართლებრივად ისინი მოწონებული არ იქნება.

როგორც ეს მოგვიანებით დაადასტურა აშშ-ატიბ-ემ, *ფიკჰის* უმეტეს სფეროებში მალიქი ხელმძღვანელობდა *„სად აზ-ზარ3'ი'ის“* პრინციპით, რომელიც ესადაგებოდა კორუმპირებულობისა და შუამავლის გამოთქმებს ლიდერებისგან ძღვენის მიღების უარყოფას. მალიქიტები უფრო მეტად კონცენტრირდებოდნენ *ფიკ-ჰის* იმ სფეროებზე, რომლებიც ეხებოდა ყიდვა-გაყიდვას, სასჯელის ზომებსა და ქორწინებას, რათა უდანაშაულო მხარე დაეცვათ. მალიქიტური სკოლის ინტერესზე დაფუძნებული ხედვა ეყრდნობოდა „განსხვავებული თვალსაზრისების გათვალისწინების“ პრინციპს ყიდვა-გაყიდვის, სასჯელის ზომებისა და ქორწინების სფეროებში.

სამართლებრივი სანქციების სფეროში, მალიქიტური მაზჰაბი ყველაზე მკაცრი იურიდიული სკოლაა პოტენციური დამნაშავეების შეკავების, აგრესორებისა და კანონდამრღვევებისთვის ყველა გზის მოსპობის თვალსაზრისით. ეს დამოკიდებულება საწყისს იღებს 'უმარის *ფიკჰიდან*, პოლიტიკიდან და სამართლებრივი დადგენილებებიდან. თუმცა, ერთიანობაში მალიქიტური მაზჰაბი

მაინც რჩება პიონერად ადამიანების ინტერესებიდან გამომდინარე დადგენილებების დაწესებაში. აშ-შატიბიმ ნათლად აჩვენა ურთიერთკავშირი ადამიანურ მიზნებსა და უზენაესი კანონმდებლის მიზნებს შორის.

იურისპრუდენციის კიდევ ერთი სფერო, რომელშიც მალიქიტური მაზჰაბი გამუდმებით იღწვოდა მიზნებისა და განზრახვების პრინციპის დასამკვიდრებლად, ფიცსა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ეხება. ისინი გულდასმით იხილავდნენ განზრახვის როლს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქორწინება და ბრალის წაყენება. ადამიანების სიტყვებისა და ქმედებების უკან გარკვეული მიზნებისა და გაზრახვების გათვალისწინება და არა მათი პირდაპირი მნიშვნელობით მიღება ‘უმარისა და შუამავლის კომპანიონების გამოკვეთილი მიდგომის ღირებულებას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მალიქიტური მაზჰაბი განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო ორაზროვანი სამართლებრივი მექანიზმების აკრძალვითა და დანაშაულებრივი განზრახვების აღკვეთით.

აშ-შატიბი და მისი თეორია

აბუ ისჰაკ აშ-შატიბის ბიოგრაფი აღწერს მას, როგორც „პატივცემულ, განსწავლულ, შემდგარ იმამს, სხვებისთვის მაგალითს - ადამიანს, რომელმაც ზეპირად ისწავლა მთელი ყურანი და რომელსაც გააჩნდა იმდენი ცოდნა, რომ ისლამური სამართლისა და მისი წყაროების დამოუკიდებელი ინტერპრეტირება შეეძლო...“ აშ-შატიბი

გაიზარდა გრანადაში. მასზე გავლენა მოახდინეს როგორც გრანადელმა, ასევე სხვა შეიხებმაც. აშ-შატიბის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია *„ალ-მუვაფაკათ“* , რომელმაც დღის სინათლე იხილა 1302ჰ/1884 ახ.წ. წელს. მასში ის ეხება ისლამური სამართლის მაღალ მიზნებსა და მათთან დაკავშირებულ დადგენილებებს, სამართლებრივი მტკიცებულებების კატეგორიზაციას, ადამიანების ქმედებების შესახებ დადგენილებებში მტკიცებულებების გამოყენებას, დამოუკიდებელ მსჯელობასა და კონფლიქტური საკითხების ირგვლივ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

აშ-შატიბი განიხილავს *„ბიდა'ს“*, ანუ (ერეტიკული) ინოვაციების თემებს, როგორც *„მუჰდასათს“*, ანუ ყურანისთვის, სუნასთვის და შუამავლის კომპანიონების პრაქტიკული მოღვაწეობისა და განცხადებებისგან განსხვავებულ, უცხო პრაქტიკებსა და რწმენებს. იურისპრუდენციის ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა შეუზღუდავი ინტერესები (*ალ-მასალიჰ ალ-მურსალა*) და სამართლებრივი პრეფერენცია (*ისთიჰსან*), მეტად ღირებული დისკუსიის დროს ის დაბალანსებულ მეთოდოლოგიას იყენებდა, რომელიც საწყისს *„უსულ ალ-ფიკჰისგან“* იღებდა. გარდა იურისპრუდენციის პრინციპებისა და სამართლის მიზნების ანალიზისა, აშ-შატიბი იკვლევდა იურისპრუდენციის პრინციპების გამოყენებას.

კარგად ვიცით, რომ აშ-შატიბი უკიდურესად ყურადღებიანი მწერალი და მკვლევარი იყო - ვიდრე და-

წერდა, დიდხანს და დეტალურად შეისწავლიდა საკითხებს და სხვებთანაც გადიოდა კონსულტაციას იმასთან დაკავშირდებით, რასაც წერდა. მას სურდა რა, რომ ისე მოქცეულიყო, როგორც ამას ცოდნა და ჭეშმარიტება მოითხოვდა, ალ-შატიბი იკვლევდა ქადაგებებთან და ლიდერების, ანუ იმამების, ლოცვების ფუნქციებთან დაკავშირებულ ფართოდ გავრცელებულ კონცეფციებს. თავის ფათვებში ის მხარს უჭერდა სუნას და ეწინააღმდეგებოდა გარკვეულ წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ ინოვაციებს, რომლებიც უცნობი იყო შუამავლისთვის და მისი კომპანიონებისთვის, მაგრამ ფართოდ იყო გავრცელებული აშ-შატიბის ცხოვრების პერიოდში. აშ-შატიბის კრიტიკა იწვევდა მის წინააღმდეგ ბრალდებებსა და ცილისწამებებს, თუმცა ის თავისი შეხედულებების ერთგული რჩებოდა. აშ-შატიბის წინააღმდეგ შექმნილ ამგვარ გარემოში მან შექმნა *„ალ-ი'თიṣამ“* , რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ისლამში რელიგიური ინოვაციების თემაზე შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად.

აშ-შატიბის მიმოწერა ჰქონდა ბევრ თვალსაჩინო შეიხთან, რომლებიც იმ დროს პრობლემურ საკითხებს განიხილავდნენ. ის ასევე მონაწილეობდა მალიქიტური სკოლის წამყვან წარმომადგენლებთან დისკუსიებსა და კონსულტაციებში. ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება ამჟღავნებს აშ-შატიბის ინტერესებსა და მაღალ ინტელექტს, ასევე კავშირშია შემდგომ განხილულ საკითხებთან.

მალიქიტური მაზჰაბის სამართალმცოდნეებმა შეუძლიათ აღმოაჩინონ, რომ ნებისმიერ საკითხზე შეიძლება არსებობდეს მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი და ყველა იმამ მალიქს მიეწერებოდეს. მართლაც, შეიძლება იყოს რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო განაცხადი, თუმცა სამართალმცოდნეები თავიანთ ფათვებს ყველა მათგანს აფუძნებენ, მიუხედავად მათ შორის არსებული შეუსაბამობებისა. გარდა ამისა, *„უსულ ალ-ფიკჰის“* სწავლულები თანხმდებიან, რომ თუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განაცხადი ეკუთვნის ერთ რელიგიურ ავტორიტეტს და თუ არ არის ცნობილი, რომელი განაცხადი იყო გაკეთებული უფრო ადრე, სამართლებრივი მტკიცებულების სახით არცერთი მათგანის გამოყენება არ შეიძლება.

თუ სკოლაში არსებობს შეუთავსებელი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა თქვა მალიქმა, განა მაშინ მავანს უფლება აქვს განაცხადოს, რომ „ეს მალიქიტური სკოლის (მაზჰაბის) პოზიციაა ამ საკითხთან დაკავშირებით“, როცა ის გულისხმობს, რომ ერთ-ერთი ამ მოსაზრებათაგანი მართლაც მალიქის პოზიციას გამოხატავს? სამართალმცოდნეები ხშირად მიმართავენ მალიქს *„ალ-მუდავვანაში“* ან სხვა ნაშრომებში მოცემულ განაცხადებსა და საკუთარ შეფასებებს ამ განაცხადების მათეულ გაგებაზე ამყარებენ.

მალიქი და მისი სკოლა ცნობილი გახდა იმით, რომ „საწინააღმდეგო აზრებს ითვალისწინებდა”. ეს ის პრინციპია, რომელსაც მალიქიტების ზოგიერთი ფათვა ეყ-

რდნობა. თუ გარკვეულ შემთხვევაზე ან ქმედებაზე გამოტანილი დადგენილება ეწინააღმდეგება მალიქიტების სკოლის პოზიციას, მაგრამ შეესაბამება სხვა რომელიმე სკოლის ან სწავლულის პოზიციას, მაშინ დადგენილების გამოცემის ან ქმედების განხორციელების შემდეგ მალიქიტი სამართალმცოდნის მიერ გამოცემული *ფათვა* შესაძლებელია მხარს უჭერდეს ზემოთხსენებულ დადგენილებას, ან ქმედებას და ამ შემთხვევაში ის მართებულია საწინააღმდეგო სკოლის თვალთახედვიდან.

ალ-ღაზალი, იბნ რუშდი და სხვები ღვთისმოსაობის გამოვლინებად მიიჩნევდნენ იმ საწინააღმდეგო აზრების ირგვლივ დისპუტებისთვის თავის არიდებას, რომლებიც სამართალში ერთგვარ „ნაცრისფერ ზონას“ *(შუბჰა)* წარმოადგენდნენ. მათ სწამდათ, რომ დავა იმ საკითხებზე, თუ რა არის და რა არ არის დასაშვები, სამართლის „ნაცრისფერი ზონაა“, რომელსაც შუამავლის ერთი ტრადიციის შესაბამისად უნდა მოვერიდოთ. თუმცა ასეთი ბუნდოვანი საკითხები ისლამურ სამართალის სფეროში გამონაკლისს წარმოადგენს.

როცა აღმოვაჩენთ, რომ ადამიანების მიერ ფართოდ გამოყენებული პრაქტიკა ეწინააღმდეგება იმას, რაც კანონში წერია და იმ პრაქტიკას, რომელსაც ღვთისმოსავი წინაპრები, სწავლული ადამიანები და ისინი, ვისაც იჯთიჰადის განხორციელება ხელეწიფებათ, როგორ უნდა მოვიქცეთ - უნდა მივყვეთ ამჟამად გავრცელებულ პრაქტიკას და უგულებელვყოთ კანონიც

და ჩვენი წინაპრების მაგალითიც? თუ ეს ასეა, მაშინ როგორ იქნება სუნა რაიმე შედეგის მომტანი?

აშ-შატიბის მიერ დასმული ეს კითხვები აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის სამართლებრივი მტკიცებულებები და სამართალმცოდნეობის პრინციპები და საფუძვლები. ღვთისმოსაობის მიზეზით დისპუტების თავიდან ასაცილებლად აშ-შატიბიმ შეიმუშავა მნიშვნელოვანი და გონივრული წესი: *„თუ რომელიმე პრინციპის გამოყენებას, მისი ყოვლისმომცველი გაგებით, მივყავართ კანონთან ან გონებასთან შეუთავსებელ შედეგამდე, მაშინ მას ვერ განვიხილავთ როგორც სრულად გონივრულსა და შესატყვისს და მისი უპირობოდ გამოყენება არ შეიძლება“.*

ამ ნაშრომის საკვანძო საკითხს აშ-შატიბის *„მაკასიდის“* თეორია წარმოადგენს. ისლამური სამართლის შემთხვევაზე დაფუძნებულ ანალიზში აშ-შატიბი ამტკიცებდა, რომ [ღვთისგან ზეგარდამოვლენილი] ყველა კანონი დაწესდა ადამიანების ინტერესების დასაცავად...“ ის ასკვნიდა, რომ კანონი დადგინდა იმისათვის, რომ ადამიანებს ემსახუროს და შემთხვევაზე დამყარებულ ამ ინტერპრეტაციაში კანონის ყველა დეტალის გათვალისწინება ხდება.

აშ-შატიბიმ დაჰყო სამართლის მაღალი მიზნები უზენაესი კანონმდებლის მიზნებად და მათ მიზნებად, ვინც ანგარიშვალდებულია კანონის წინაშე. ამის შემდეგ აშ-შატიბიმ უზენაესი კანონმდებლის მიზნები ოთხ ტი-

პად დაჰყო: კანონმდებლის მაღალი მიზნები სამართლის დაფუძნებაში; მაღალი მიზნები ადამიანებისთვის გასაგები კანონის დაფუძნებაში; მაღალი მიზნები კანონის, როგორც ქცევის სტანდარტის, დაწესებაში; და მაღალი მიზნები ადამიანების კანონის იურისდიქციაში მოქცევისთვის.

აშ-შატიბი უზენაესი კანონმდებლის მაღალ მიზნებს სამართლის დაწესებაში სამი კატეგორიით განმარტავდა: ადამიანების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევი აუცილებელი საფუძვლები; მოთხოვნილებები, ანუ საჭიროებებთან დაკავშირებული ინტერესები თუ მიზნები; და ის გამაუმჯობესებელი, დამატებითი კატეგორია, რომელიც სრულქმნის და ავსებს პირველ ორს. ის ამტკიცებდა, რომ უმთავრესი მიზნები შედგება რელიგიის, ადამიანის სიცოცხლის, შთამომავლობის, მატერიალური კეთილდღეობისა და ადამიანის განსჯის უნარისგან. ისლამის სამართალი ვალდებულებას იღებს, დაიცვას არსებითი ინტერესები განადგურებისგან. ხუთი ძირითადი ინტერესი მოიაზრება სხვა დანარჩენი ინტერესის წყაროდ.

კანონით დაცული ინტერესები ერთმანეთის გასაუქმებლად არ უნდა გამოიყენებოდეს, არც ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესს უნდა ჰქონდეს მასზე უფრო მნიშვნელოვანის გაუქმების შესაძლებლობა. პირიქით, ისინი დადგინდა სწორედ ერთმანეთის გასაძლიერებლად, შესავსებად და შესანარჩუნებლად. იმის განცხადების შემდეგ, რომ „უმთავრესი მიზნები წარმოადგენენ

საფუძველს დანარჩენი მიზნებისთვის“, აშ-შატიბიმ შემ-დეგი წესები დაადგინა:

- უმთავრესი მიზნები წარმოადგენენ საფუძვლებს მოთხოვნილებებთან დაკავშირებული და გამაუმ-ჯობესებელი მიზნებისთვის.
- უმთავრეს მიზნებთან დაკავშირებული უწესრიგობა ამ ორივეში არეულობას შეიტანს.
- მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ და გამაუმჯო-ბესებელ მიზნებში არსებული დისბალანსი აუცი-ლებლად არ იწვევს დისბალანსს უმთავრეს მიზნებ-ში.
- სრულმა დისბალანსმა მოთხოვნილებებთან დაკავ-შირებულ და გამაუმჯობესებელ მიზნებში შეიძლე-ბა გამოიწვიოს ნაწილობრივი დისბალანსი უმთავ-რეს მიზნებში.
- აუცილებელია მოთხოვნილებებთან დაკავშირებუ-ლი და გამაუმჯობესებელი მიზნების შენარჩუნება უმთავრესი მიზნების დასაცავად.

აშ-შატიბი მოკლედ შეეხო უზენაესი კანონმდებლის მაღალ მიზნებს სამართლის დადგენაში, რათა უფრო ღრმად გაეგო მათი აზრი. როცა მსჯელობდა კანონის დაწესების მიზნებზე, როგორც ქცევის სტანდარტზე, აშ-შატიბი განიხილავდა კანონმდებლის მიზნებს იმ ჭრილ-ში, თუ რას ითხოვდა ის კანონის წინაშე ანგარიშვალდე-ბულებებისგან, ასევე განიხილავდა იმას, თუ რას გუ-

ლისხმობდა და რას არა ადამიანებისთვის წაყენებული მოთხოვნები. მაგალითად, მან დაასკვნა, რომ თუ კანონმდებლის მიზანია, შეგვიმსუბუქოს ჩვენდამი წაყენებული მოთხოვნებით გამოწვეული სიძნელეები, მაშინ მიზანია ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ჩვენ განვაგრძნოთ სიკეთის თესვა და შევინარჩუნოთ ბალანსი ჩვენი მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

აშ-შატიბი აცხადებდა, რომ ისლამში სამართალი განცხადდა „უდიდესი ზომიერებისკენ გზაზე და ის ორ უკიდერუსებას შორის უდრეკად დაიცავს ოქროს შუალედს...“ აქ ჩვენ ვპოულობთ კანონით მოთხოვნილი მოვალეობების უმრავლესობას, როგორიცაა რიტუალური ლოცვა, მარხვისა და ზაქათის ვალდებულება, ასევე აკრძალვების უმეტესობას, რომლებიც ეხმარებიან ადამიანების უმრავლესობას, შეინარჩუნონ ბალანსი.

განიხილავდა რა უზენაესი კანონმდებლის მაღალ მიზანზე მოექცია ადამიანები კანონის იურისდიქციის ქვეშ, აშ-შატიბი აცხადებდა: „ადამიანებთან მიმართებაში ისლამური სამართალი ყოვლისმომცველ უნივერსალობას წარმოადგენს“ და „ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ [კანონის] ავტორიტეტს ყველაფერი, რასაც განვიცდით, შინაგანადაც და გარეგნულადაც“. მან აჩვენა, რომ უზენაესი კანონმდებლის მიზანია, დაიხსნას კაცობრიობა ამქვეყნიური სურვილების ტირანიისგან და დაუქვემდებაროს ისინი კანონდებლობასა და მის მიწერილობებს.

სამართლის მიზნების განხილვისას აშ-შატიბი ასევე ეხებოდა ადამიანების მიზნებსაც, რაც კიდევ ერთი გამოვლინებაა მისი მხრიდან საკითხის სიღრმისეულად გაგებისა და ცოდნისა. ის ადასტურებს რელიგიურ ჭეშმარიტებას, რომ „ქმედებები განუყოფელია განზრახვებისგან და ქცევის განსჯისას აუცილებელია მიზნის გათვალისწინება...“ უფრო მეტიც - „ადამიანებთან მიმართებაში უზენაესი კანონმდებლის მიზანია, რომ მათი ზრახვები თანხვედრაში უნდა იყოს უფლის კანონშემოქმედობის განზრახვასთან“.

აშ-შატიბი ასკვნიდა, რომ „არსებობს ისეთი დასკვნის გამოტანის აუცილებლობა, რომელიც მიზნების საკითხზე დღემდე არსებულ ყველა დისკუსიას დაუსვამს წერტილს და მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რა იყო ამ შემთხვევაში უფლის ნება“. ის სვამს კითხვას: „როგორ უნდა განვასხვავოთ, თუ რა ნებავს უფალს იმისგან, თუ რა არ სურს მას?“ უზენაესი კანონმდებლის მიზნების განსასაზღვრად ის ოთხ საბაზისო ამოსავალ წერტილს გვთავაზობს: უპირველესი, მკაფიო ბრძანებები და აკრძალვები; ბრძანებებისა და აკრძალვების საფუძვლების მხედველობაში მიღება; მეორეხარისხოვანი მიზნების მხედველობაში მიღება (რომლებიც უმთავრეს მიზნებს სამსახურში დგას); და უზენაესი კანონმდებლის დუმილი ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მოითხოვენ განცხადებასა და სამართლებრივ აქტს.

აშ-შატიბის მიზნების თეორია ნათლად და გასაგებად წარმოდგენილია მისი ნაშრომების უმეტესობაში, სა-

დაც ჩანს, რომ “მიზნები” მის თეორიას უფრო მკაფიოს და ყოვლისმომცველად აქცევს. თავდაპირველად ის *„მაკპ̣ᵢდ აშ-შარი'ა-სა“* და მათ შედეგებზე იყო კონცენტრირებული. ის აფუძნებდა თავის ყველაზე ფასეულ არგუმენტებს იმ დაშვებაზე, რომ იურისპრუდენციის საფუძვლები კანონის ზოგად ცნებებში, უნივერსალიებში მოიპოვება: „მუსლიმი თემი...[თანხმდება იმაზე, რომ] კანონი იყო დაწესებული ხუთი საფუძვლის დასაცავად, სახელდობრ: რელიგიის, ადამიანის სიცოცხლის, შთამომავლობის, მატერიალური კეთილდღეობისა და ადამიანის განსჯის უნარზე“.

კანონის უზენაესი მიზნები და პრინციპები იყო დაცული ყურანის მექურ ნაწილში ისლამური დოქტრინის საფუძვლებთან და პრინციპებთან ერთად. აშ-შᵃტიბᵢ იკვლევდა ხუთ საფუძველს და ეძებდა მტკიცებულებებს ყურანის მექურ ნაწილში. ისლამის რელიგიის დაცვა და ყურანის მექურ ნაწილში რწმენის სრულქმნა და კონსოლიდირება იმდენად ცნობილი და ყველასათვის გასაგები საკითხია, რომ ის არ მოითხოვს მის მხარდასაჭერად რაიმე სახის დამატებით მტკიცებულების ან მაგალითის მოტანას. აშ-შᵃტიბᵢᵐ წარმოადგინა მექური აიების სამართლებრივი პრინციპები და უნივერსალიები.

ის იყენებდა თავის „მიზნებზე დაფუძნებულ“ ხედვას, რათა კავშირი შეეკრა შარიათის სხვადასხვა სახის მტკიცებულებას შორის, ყურანისა და სუნას ჩათვლით, ასევე სამართლის სხვადასხვა სფეროს შორის მათი ზოგადი და კონკრეტული ცნებებით. მან აღნიშნა, რომ ყუ-

რანის მედინური ნაწილი ყველა თავისი დეტალით ეფუძ-ნებოდა ყურანის მექურ ნაწილს მის უნივერსალიებთან ერთად, და ასევე შენიშნა, რომ სუნა მთლიანად ყურანს ეფუძნებოდა. სუნა გვიჩვენებს, თუ რომელ ინტერპრე-ტაციებს უნდა მივყვეთ ყურანში არსებული ზოგადი განცხადებებიდან, გამომდინარე, რომელთაგან არცერთი არ უნდა დაირღვეს სუნას მიერ.

აშ-შატიბი იყენებდა მიზნების ცნებასა და სამარ-თლებრივი დადგენილებების დაყოფას ფუძემდებლურ, მოთხოვნილებებიდან გამომდინარე და გამაუმჯობესე-ბელ კატეგორიებად იმისათვის, რათა გაემყარებინა სა-კუთარი თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ ის-ლამურ სამართალში შესული მითითებები და აკრძალვე-ბი ყველა ერთნაირი მნიშვნელობის არ არის. მორწმუნე-ები და სწავლულები უნდა იცნობდნენ კანონის მითითე-ბებისა და აკრძალვების ამ გრადაციას.

სამართლებრივი დადგენილებები *„უṣულ ალ-ფიკ-ჰის“* თემაზე შექმნილი ნაშრომების უმეტესობაში გვხვდება, განსაკუთრებით ჰიჯრის მე-5 საუკუნის შემ-დეგ. ქმედების აღწერა *„მუბაჰის“* ანუ „ნებადართულის“ სახით, ქმედებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მიწერი-ლობაა - *„უṣულიდდუნ-ის“* უმრავლესობა ამ კატეგორიის საკითხებს ეხებოდა. აშ-შატიბი ზემოხსენებულ საკითხს თავისი „მიზნების თეორიის“ პერსპექტივიდან უდგებო-და. განსხვავებას ქმედებებსა და უმოქმედობას შორის მათი კონკრეტული და უნივერსალური ასპექტებით, რო-

მელიც მან შემოიტანა, აშ-შატიბი აფუძნებს ინტერესებსა და მიზნებს.

რაც შეეხება მიზეზებს, შედეგებსა და მიზნებს შორის ურთიერთკავშირს, მიზეზები და შედეგები უკავშირდებიან როგორც ადამიანურ, ასევე ღვთაებრივ განზრახვებს, თუმცა უფრო ახლოს ისინი ადამიანურ განზრახვებთან დგანან. აშ-შატიბიმ ჩამოაყალიბა პრინციპები და დადგენილებები საკუთარი მიზნებთან დაკავშირებული თვალთახედვიდან გამომდინარე. მაგალითად, მიზეზების განსაზღვრისას უზენაესი კანონმდებლისთვის შედეგები მისივე განზრახვებია. ადამიანები აგებენ პასუხს მხოლოდ მიზეზებისთვის და არა მათი შედეგებისთვის. ღმერთი იღებს პასუხისმგებლობას შედეგებზე და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე.

აშ-შატიბის წარმოდგენილი ჰქონდა ტექსტები, რომლებითაც მოუწოდებდა ადამიანებს, დაფიქრებულიყვნენ შედეგებზე და გაეთვალისწინებინათ ისინი მიზეზების დადგენისას, დასძენდა რა, რომ „...თუ ადამიანი დაფიქრდება იმ შედეგებზე, რომელიც მის ქმედებას მოჰყვება, შესაძლოა ეს ქმედება საერთოდ აღარ განახორციელოს...“ ასე რომ, უნდა მივისწრაფოდეთ იმისკენ, რაც ემსახურება ადამიანის ინტერესებსა და ღვთაებრივ მიზნებს და მოვერიდოთ იმას, რაც ზიანს გვაყენებს.

აშ-შᾱტიბᾱს თეორიის ფუნდამენტური საკითხები

მიზნების თეორიის გარკვეულ ფუნდამენტურ საკითხებზე ყურადღების გამახვილებისას აშ-შᾱტიბᾱ მიმართავდა სამართლის ცნებას, როგორც მთლიანობაში „*თა'ლᾱლის*" საგანს - იდეა, რომლის მიხედვითაც ყველაფრის გაგება შეიძლება, ადამიანისთვის სარგებლიანობიდან და მისი წარმომავლობის შემთხვევებიდან გამომდინარე. შემდეგ ის ამტკიცებდა რომ, პრაქტიკულად ყველა სამართლებრივი დადგენილება ადამიანის ინტერესებს ემსახურება. *„თა'ლᾱლის"* საკითხზე საკუთარი თვალსაზრისის მკაფიოდ გამოსახატავად, ის ასხვავებდა დადგენილებებს, რომლებიც წეს-ჩვეულებებსა და ყოველდღიურ საქმეებს (გარიგებებს) ეხება და რომლებსაც ღვთისმსახურების ქმედებებს ეხებიან.

სამართლებრივი დადგენილებებისადმი პირველი მიდგომა მხარდაჭერილია კანონის ინდუქციური წაკითხვით, რომელიც ნათელს ხდის, რომ უზენაესი კანონმდებლის მიზანია ადამიანის ინტერესების დაცვა. „*თა'ლᾱლის*" საკითხზე აშ-შᾱტიბᾱს ზოგადი თვალსაზრისი გამოიხატება მის სიტყვებში, რომ მას სწამს ისლამური სამართლის ინტერპრეტაციის ვალიდურობისა ადამიანის ინტერესების გათვალისწინების ჭრილში. აშ-შᾱტიბᾱ და მალიქიტი სწავლულების უმეტესობა ამტკიცებდნენ, რომ ისლამური ღვთისმსახურების აქტებთან დაკავშირებული მიწერილობების განხილვისას აუცილებელია *„თა'ლᾱლისგან"* თავის შეკავება. აშ-შᾱტიბᾱ არ უარყოფდა, რომ ისლამში ღვთისმსახურების სხვადასხვა

ფორმის დასაბუთება და მიზნები იმ ტექსტებშივეა მოცემული, რომლებშიც ისინი ჩამოყალიბებულია. თუმცა, მას ასევე სწამდა, რომ ამგვარ განმარტებებში დეტალები მაინც ხშირად გაუგებარი რჩებოდა. ის ასკვნიდა, რომ ღვთისმსახურების სფერო, გამოხატვის განხვავებული ფორმებით, ღია რჩება ინტერესზე დაფუძნებული „*თა'ლ̄ილისთვის*".

აშ-შ̄ატიბ̄ წერდა: „იმ დადგენილებებს, რომლებიც ყოველდღიურ საქმეებსა (გარიგებებს) და წეს-ჩვეულებებს ეხება, ასევე ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული დადგენილებების უმეტეს ნაწილს, გააჩნიათ აღიარებული მიზანი, კერძოდ, ადამიანების ინტერესების სხვადასხვა ასპექტის დარეგულირება, რადგან თუ ისინი ღია იქნება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციებისთვის, შედეგად მოჰყვება უთანხმოება და დაყოფა". ასეთი სპეციფიკაციები და კრიტერიუმები ხელს უწყობენ სამართალმცოდნეების წარმართვას, ჩაერთონ დამოუკიდებელ განსჯაში სამარათლებრივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ზუსტი განსაზღვრება, კოდიფიკაცია და სპეციფიკაცია ამ პროცესში აღიარებულია სარგებლის მომტანად.

ის ამტკიცებდა, რომ ისლამური სამართალი შედგება როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი ასპექტებისგან. სამართლის ზოგადი ასპექტი „ყველა ადამიანს ეხება, რომელიც კანონის წინაშე რაიმე კონკრეტული მიწერილობის შესაბამისად არის ანგარიშვალდებული..." როგორც ალ-ღაზ̄ალ̄ი აცხადებდა, „ყოველ დადგენილებას

გააჩნია ფარული სიბრძნე და ის განასახიერებს ადამიანისთვის სიკეთესა და წყალობას“. *„თა‘ლრ̄ლს“* საკუთარი მეთოდები და კანონები გააჩნია, რომლებიც უნდა შესრულდეს *„უṣულ ალ-ფიკჰის“* დისციპლინაში. არავის შეუძლია დაამყაროს *„თა‘ლრ̄ლი“* პირად პრეფენციასა თუ ვარაუდზე, ან ღმერთის კანონთან მიმართებაში საკუთარ აზრსა თუ ილუზიებს მიანიჭოს უპირატესობა.

შუამავლის კომპანიონები *„თა‘ლრ̄ლში“* ჩაერთვნენ საკუთარ გონივრულ ინტუიციაზე დაყრდნობით, შეურყვნელი, უპირობო უშუალობით. ისინი თავიანთ დამოუკიდებელ განმარტებებს აფუძნებდნენ იმაზე, რაც კანონმდებლობის საფუძვლებად და მიზნებად მიაჩნდათ. მეორე მხრივ, ცნობილმა სწავლულებმა და თეოლოგებმა უარყვეს *„თა‘ლრ̄ლის“* გამოყენების ვალიდურობა და იყენებდნენ საეჭვო ლოგიკას. *„თა‘ლრ̄ლის“* სრულად უარყოფას აშ-შᾱტიბრ̄ მიაწერდა მხოლოდ არ-რᾱზრ̄ს, თუმცა უფრო სერიოზული კრიტიკოსი იბნ ḥᾱზმი იყო.

ღვთაებრივი მიწერილობების საფუძველს ადამიანის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, როგორც ეს ჩამოყალიბდა ისლამურ სამართალში. მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, თუ რომელი სამართლებრივი კითხვები ეხება ღმერთის ქმედებებს და რომელი ეხება ღვთისგან ზეგარდმოვლენილ კანონდებლობას. ჩვენ კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ სამართლებრივი დადგენილებების საფუძვლისა და ბრძნული განზრახვების დადგენის პროცესი უკავშირდება სპეციფიკურ მეთოდებს, შეზღუდვებსა და

კრიტერიუმებს. ყოველივე ზემოთქმული დეტალურად არის გადმოცემული სამართალმცოდნეობის საფუძვლებისა და ჰადისის სამართალმცონეობის თემისადმი მიძღვნილი წიგნების შესაბამის თავებში, ასევე ყურანისა და სუნას კომენტარებში.

ჩვენ ვართ მოწოდებული, შევისწავლოთ მასალა და ის სულიერი სარგებელი და მიზნები, რომლებსაც ისლამის სამართლის მიწერილობები მოიცავს, ამ პროცესში კი უნდა მოვიპოვოთ სარგებელი და თავიდინ ავიცილოთ უმცირესი ზიანიც. ისლამი გვრთავს ნებას, ჩავწვდეთ სამართლებრივი დადგენილებების ბრძნულ განზრახვას კვლევის ყველა მეთოდისა და ცოდნის გამოყენებით, რომლებიც უფალმა ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა. და თუ ამ გზით ჩვენ მივალთ სანდო მტკიცებულებებით გამყარებულ დასკვნამდე, ჩვენ შეგვიძლია ის მივიღოთ; ხოლო თუ ვერ მივალთ ასეთ დასკვნამდე, მაშინ ამ საკითხში უფლის სიბრძნეს უნდა მივენდოთ.

როცა მუსლიმი სწავლულები აფასებენ სარგებელსა და ზიანს, ისინი როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ სამყაროსაც ითვალისწინებენ. მუსლიმი სწავლულების მიერ გამოყენებული სარგებლისა და ზიანის კონცეფცია მოიცავს იმქვეყნიურ სარგებელსაც, მის წინაპირობასა და იმას, თუ როგორ ხდება მისი მიღწევა; იმქვეყნიური ზიანის სახეებს, მის წინაპირობასა და იმას, თუ როგორ ადგება ის ადამიანს; ამქვეყნიური სარგებელს, მის წინაპირობასა და იმას, თუ როგორ ხდება მისი მიღწევა; და ასევე ამქვეყნიური ზიანის სახეებს, მის წინაპირობასაა

და იმას, თუ როგორ ადგება ის ადამიანს. აშ-შატიბი გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ინტერესები ემსახურება არა სიცოცხლის განადგურებას, არამედ მის მხარდაჭერასა და საზრდოობას. კანონმა დააწესა გარკვეული შეზღუდვები სარგებლის მიღწევასა და მისით ტკბობაზე, რადგან შესაძლოა ადამიანმა ეცადოს, ისეთ სარგებელს მიაღწიოს, რომელმაც შეიძლება სხვადასხვა სახის ზიანამდე მიიყვანოს ის, ან რომელიც დააკარგვინებს მათ სხვა, უფრო მნიშვნელოვან სარგებელს.

ხშირ შემთხვევაში ხდება სარგებლისა და ზიანის ურთიერთგადაფარვა, რადგან კონკრეტული ქმედება შესაძლებელია იყოს, ერთი მხრივ, სარგებლის, ხოლო, მეორე მხრივ, ზიანის მომტანი. შესაბამისად, ისეთი სამართალია საჭირო, რომელსაც ადამიანები დაექვემდებარებიან და რომელიც მათთვის ავტორიტეტული იქნება. ეს არის „უნივერსალური“ (საერთო) ინტერესი. ისლამური სამართალი ასევე მოუწოდებს ყველა სახის ინტერესის ყველა დონეზე დაცვისაკენ და მას არცერთი დეტალს არ ტოვებს უყურადღებოდ სარგებელსა და ზიანთან დაკავშირებით. გარკვეული ინტერესების „ანულირება“ ადამიანების ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას გულისხმობს, თუმცა ეს მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებსა და ინდივიდებს ეხება. აშ-შატიბიმ განსაზღვრა და გაანალიზა ინტერესების სხვადასხვა ტიპი და ისლამურ სამართალში საუკეთესო სამართლებრივი მიდგომა ნებისმიერი დავის გადასაჭრელად.

მუსლიმი სწავლულები თანხმდებიან, რომ ისლამური კანონი მოგვიწოდებს „მთავარი საფუძვლების“, „მოთხოვნილებებიდან გამომდინარე“ და „გამაუმჯობესებელი“ მიზნების დაცვისაკენ და რომ ყველაზე სასიცოცხლო ინტერესებია: რელიგია, ადამიანის სიცოცხლე, განსჯის უნარი, შთამომავლობა და მატერიალური კეთილდღეობა. ასევე მიღწეულია კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ „ამ ხუთი მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვას რაც ემსახურება, სარგებელია, ხოლო ყველაფერი, რაც მათ დაკარგვას იწვევს, ზიანის წყაროა, მაშინ როცა მათი პრევენცია სარგებელია.

არსებობს კითხვა, შეუძლია თუ არა ადამიანის გონებას, განსაზღვროს ესა თუ ის ქმედება კარგია და შექების ღირსი, თუ ცუდია და დასაძრახი, თუ ამის გაკეთება მხოლოდ შესაბამის სამართლებრივ მითითებებზე დაყრდნობით შეიძლება. ეს კითხვა მსგავსია სქოლასტიკურ თეოლოგიასა და იურისპრუდენციის საფუძვლებში *„ათ-თაჰსინ ვა ათ-თაკბიჰ“-ის* სახელით ცნობილი კითხვისა. აშ-შატიბი კი ამ საკითხზე იმყოფებოდა *აშ‘არიტული* თვალსაზრისის გავლენას განიცდიდა. ის აცხადებდა: „თუ ტექსტუალური და რაციონალური მტკიცებულებები სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში ურთიერთთანხმობაშია, ტექსტუალურ მტკიცებულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა რაციონალურზე იმგვარად, რომ გონებას მხოლოდ იმდენი თავისუფლება ეძლეოდეს, რამდენის საშუალებასაც ტექსტუალური მტკიცებულება დართავს. *აშ‘არიტული* შეხედულების

თანმთხვევად, „გონება ვერ განსჯის კარგსა და ცუდ საქმეებს“, ან სარგებლისა და ზიანის წყაროებს.

„აშ‘არიტების“ შეხედულებას ეწინააღმდეგება შემდეგი ორი თეორია - მუ’თაზილიტების და მატურიდიტებისა. მუ‘თაზილიტების მიხედვით, სიკეთე და ბოროტება რაციონალურად განსხვავებული თვისებებია, ხოლო ქმედება და უმოქმედება სავსებით სწორად შეიძლება აღიწეროს, როგორც სარგებლის ან ზიანის მომტანი სამართლებრივი დადგენილებით მათი ამგვარად გამოცხადებამდე. მუ’თაზილიტები უფრო შორსაც მიდიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სამართლებრივი დადგენილების გარეშე მგრძნობიარე, რაციონალური ადამიანი უფლის წინაშე ანგარიშვალდებულია მხოლოდ გონებით. როგორც სამართლებრივი დადგენილება შეიძლება დადასტურდეს ღვთაებრივი გამოცხადებით, ასევე ისინი შეიძლება დადასტურდეს ადამიანის გონებითაც. თუმცა, მუ‘თაზილიტების თეორიისგან განსხვავებით, *„აშ‘არიტების“* თეორიამ არსებობა შეინარჩუნა და ფართოდაც გავრცელდა.

ის ამტკიცებს, რომ სარგებელი ან ზიანი, რომლებსაც ჩვენ საგნებსა და ქმედებებს მივაწერთ, ღვთაებრივი კანონების ზეგარდმოვლენის ნაყოფია და ვიდრე ამ გამოცხადებების და მათთან დაკავშირებული მიწერილობების მიღება მოხდებოდა, სარგებლისა და ზიანის კონცეპტი არ არსებობდა. ყურანი გვაუწყებს, რომ კანონიერად განცხადებულია ის, რაც კარგია და სასარგებლო, ხოლო არაკანონიერად ის, რაც საზიანო და მავნეა. ისლამის ადრეულ პერიოდში ყურანი ჭეშმარიტებით მი-

მართავდა თავის მსმენელებს და უბრძანებდა მათ, ემოქმედათ სამართლიანად, საყვედურობდა ისეთი პრაქ-ტიკისთვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გონიერებას და კიცხავდა მათ იმ სიყალბისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

„აშ'არიტები“, რომლებმაც უარყვეს „სიკეთე“ და „ბოროტება“, როგორც საგნებისა და ქმედებების თანდა-ყოლილი, რაციონალურად განსხვავებული თვისებები, ჩართულნი იყვნენ ხანგრძლივ და ცხარე დებატებში თა-ვიანთ ოპონენტ მუ'თაზილიტებთან. დებატებმა აჩვენა, რომ გონებას მიჰყავდა ადამიანები შუამავლებისა და მათ მიერ უპირობო ჭეშმარიტების სახით მოწოდებული გზავნილების რწმენამდე. გონება არწმუნებდა ადამია-ნებს, რომ ისლამური კანონი იცავს ადამიანების ინტე-რესებს ყველაზე სრულყოფილი სახით. იმის მტკიცება, რომ ადამიანის გონებამ შეიძლება განასხვავოს სარგებ-ლისა და ზიანის წყაროები, არ ნიშნავს, რომ ადამიანის გონების მიერ სამყაროს აღქმა არის უზადო და სრულ-ყოფილი. პირიქით, ადამიანის გონებას შეუძლია გააც-ნობიეროს ზოგიერთი რამ, მაგრამ ვერ გააცნობიეროს სხვები.

აშ-შაᲫიბი გამუდმებით საუბრობდა გონების უუნა-რობაზე განესხვავებინა სარგებლისა და ზიანის წყაროე-ბი, ამტკიცებდა რა, რომ გზასაცდენილ ადამიანებს *„მი-ეტევათ და გაფრთხილება მიეცათ და ღმერთმა შუამავ-ლები გამოგზავნა“*. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად გონიერია ადამიანი, მას ნებისმიერ შემთხვევაში სჭირ-

დება ძლიერი რელიგიური მოტივაცია პრაქტიკულ დონეზე ინტერესის დაცვისა და ზიანისთვის თავის არიდების ვალდებულების გაძლიერება. შესაბამისად, რელიგიის დაცვის ინტერესს ისლამურ სამართალში უმაღლესი პრიორიტეტი ენიჭება.

გონების გამოყენება ინტერესების შესაფასებლად შეიძლება სხვა სფეროებში. ინტერესზე დაფუძნებული ტექსტუალური განმარტება ისლამური იურისპრუდენციის ფართოდაა მიღებული ბევრი სწავლულის მიერ. გონების როლი მდგომარეობს იმ ინტერესის დადგენაში, რომლის მიღწევასაც ცდილობს ესა თუ ის ტექსტი. ამ პრაქტიკის უამრავი მაგალითი გვხვდება ისლამური იურისპრუდენციის თემაზე შექმნილ წიგნებში და ყურანისა და სუნადან მომდინარე ტექსტებში. კარგისა და ცუდის რაციონალური შეფასება აუცილებელია სარგებლისა და ზიანის ცვალებადი წყაროებისა და იმ მოთხოვნების შესაფასებლად, რომლებიც ვლინდება შესაბამის სამართლებრივ დადგენილებებში. სარგებლისა და ზიანის გამუდმებული გადაფარვები და აღრევები ფენომენია, რომელიც დაუსრულებელ ქიშპსა და კონფლიქტს იწვევს. აშ-შატიბიმ ჩამოაყალიბა პრიორიტეტების დადგენის მნიშვნელოვანი კანონი მთელი რიგი სიტუაციებისთვის, რომლებშიც მჟღავნდება სხვადასხვა ადამიანების ინტერესთა კონფლიქტი.

„ისლამის სამართლებრივი პოლიტიკა“ უპირველესად ეფუძნება შეუზღუდავი ინტერესების დაცვას. შეუზღუდავი ინტერესების სფერო იზრდება მუსლიმთა რიც-

ხვისა და საჭიროებების ზრდასთან ერთად. ისლამური სამართლის სწავლულებმა უნდა შეძლონ ყოველ ინტერესს სამართლისა და მისი მიზნებით განსაზღვრული ადგილი მიუჩინონ. ეს არის მუსლიმთა ინტერესების დაცვის სწორი გზა.

რამდენადაც ყურანის ზეგარდმოვლენა არაბულ ენაზე მოხდა, სამართლის უზენაესი მიზნები უნდა განვიხილოთ არაბული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან კანონმდებლობა ამ ენაზე გადმოიცა. აშ-შატიბის ნაშრომებში ხშირად გვხვდება მითითება არაბული ენის შეზღუდვებისა და წესების გათვალისწინების მნიშვნელობაზე იმ შემთხვევაში, თუ გვსურს ისლამურ-სამართლებრივ ტექსტებში გადმოცემული მიზნების გაგება. მან თქვა, „არაბული ენა...გადმოსცემს უზენაესი კანონმდებლის მაღალ მიზნებს“.

ქმედებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი დადგენილებების განხილვის კონტექსტში, აშ-შატიბი აღნიშნავს ურთიერთკავშირს სხვადასხვა ტიპის მიწერილობებს შორის, კონკრეტულად კი კავშირს რეკომენდებულსა და სავალდებულოს, არასასურველსა და აკრძალულს შორის. ის მიიჩნევს მთავარ მიზნებს ხუთი საფუძვლის ექვივალენტად. მეორეხარისხოვანი მიზნები, პირიქით, უკავშირდებიან ადამიანურ სურვილებსა და მიდრეკილებებს და მოიცავენ ადამიანის ინტერესებს საჭიროებებისა და დამატებითი დეტალების დონეზე.

აშ-შᾶტიბᾑსთვის კანონის მიზნების დასადგენ ყველაზე ძლიერ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინდუქცია წარმოადგენდა. ის აცხადებდა, რომ იურისპრუდენციის საფუძვლები, მიზნები, მკაფიოდ უნდა დახასიათდეს, ამისთვის მტკიცებულება კი მოიპოვება „ინდუქციურ კითხვაში, რომელსაც სრული უეჭველობა მოაქვს“, რამდენადაც ისლამური კანონის უნივერსალიები ეფუძნება არა ერთ, არამედ მრავალ მტკიცებულებას. *„ალ-მუვᾶფაკᾶთის“* პირველივე გვერდებიდან ალ-შათიბი აკავშირებს ინდუქციას კანონის მიზნების აღმოჩენასთან. ყურანისა და სუნას ყველა მიზანი ეყრდნობა კანონმდებლობისა და მისი დადგენილებების წარმომქნელი წყაროების დადგენის კონცეფციას, ანუ *„თა‘ლᾑლის“* ცნებას, მაშინ როცა *„თა‘ლᾑლის“* პროცესი ეფუძნება რწმენას იმის შესახებ, რომ ისლამური სამართლის ახსნა შესაძლებელია ადამიანის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

აშ-შᾶტიბᾑმ დაიწყო ამ ორი განაცხადის მტკიცებულების ძიება ყურანისა და სუნას ინდუქციური კითხვის გზით. აშ-შᾶტიბᾑს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები თავიდან ბოლომდე ინდუქციურ პროცესს ეფუძნებოდა. მან აჩვენა, რომ ინდუქცია ყველაზე კრიტიკული გზაა იმისათვის, რომ დავადასტუროთ კანონის მიზნები, რადგან კანონმდებლის განზრახვა პირველადი მნიშვნელობის უნივერსალიების დაცვაა. ის წერდა, რომ მტკიცებულება „შეიძლება მოვიპოვოთ კანონის ინდუქციური კითხვის გზით, რაც გულისხმობს იმ ტექსტების შესწავ-

ლას, რომლებიც ერთდროულად ზოგადიცაა და კონკრეტულიც“. ასევე „...ინდუქციური კითხვა.. სამართლის ზოგად, შინაგან სულს უფრო გადმოსცემს, ვიდრე მის გარეგნულ დეტალებს თუ მონაცემებს“.

აშ-შატიბისთვის ინდუქცია ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა კანონის მიზნების დასადგენად. ის მიზნები, რომლებიც ცხადი ხდება ინდუქციური პროცესის გზით, ისლამური სამართლის მთავარი, უნივერსალური მიზნებია და სწორედ მათ გარშემო ტრიალებს აშ-შატიბის განხილვების უმრავლესობა. ინდუქცია გადამწყვეტ როლს თამაშობს აშ-შატიბის დასკვნების უმრავლესობაში, რომლებიც მან გამოიტანა კანონის უნივერსალიებთან ან მის ზოგად მიზნებთან დაკავშირებით.

აშ-შატიბის თეორიის საერთო შეფასება

აშ-შატიბიმ უდიდესი წვლილი შეიტანა სამართალმცოდნეობის საფუძვლებისა და კანონის მიზნების შესწავლაში, ასევე მიზნების თეორიის ჩამოყალიბებასა და წარმოდგენაში. აშ-შატიბი იყენებდა თავისი წინამორბედების ნაშრომებს, ეყრდნობოდა მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს. მან ისესხა „*უსულიდუნის*“ მიერ ადამიანის ინტერესების სამ კატეგორიად — „ფუძემდებლურ“, „საჭიროებებიდან გამომდინარე“ და „გამაუმჯობესებელ“ კატეგორიებად დაყოფა ისევე, როგორც მათ მიერ ფუძემდებლური მიზნების კატეგორიის ხუთი მახასიათებ-

ლით განსაზღვრა. აშ-შატიბიზე უდიდესი გავლენა მოახდინეს ალ-ჯუვაᵢნიმ, ალ-ღაზალიმ და მალიქიტური მაზჰაბის სკოლამ, „*ისთისᵢლაჰᵢმა*“, ინტერესზე დაფუძნებულმა „*ისთიᵢჰსანმა*“ და ინტერესიდან გამომდინარე, ისლამური ტექსტების ინტერპრეტაციამ. ეს სკოლა უპირველესად მოწოდებულია, დაადგინოს უზენაესი კანონმდებლის მიზნები და განვითარდეს მათზე დაყრდნობით.

აშ-შატიბი ისე გამოყოფდა სამართლის მიზნებს იმგვარად, რომ ისინი ხილულ, აღქმად ერთობებად იქცნენ. ამიერიდან შეუძლებელი გახდა მათი უგულებელყოფა ან დავიწყება თუ დაკნინება. მან საფუძველი ჩაუყარა სამართლის უზენაესი მიზნების შესწავლისთვის სივრცის უზომოდ გაფართოებას. *მაკასიდ აშ-შარი'ა-ს* თემა მისი ნაშრომების უმრავლესობაშია წარმოდგენილი, რამაც ხელი შეუწყო კანონის მიზნების ნათელყოფას *ფიკჰთან* დაკავშირებულ დამოუკიდებელ მსჯელობაში.

ის ყურადღება, რომელსაც აშ-შატიბი უთმობდა ადამიანურ მიზნებს, ნათელს ჰფენს შთაგონებისა და შემოქმედებითობის კიდევ ერთ ასპექტს, რომლითაც ნიშანდებულია მისი თეორია. მისმა ინტერესმა კანონმდებლის მიზნების მიმართ მიიყვანა ის ადამიანურ მიზნების შესახებ დისკუსიამდე. მან გამოავლინა შეუდარებელი ორიგინალურობა ღვთაებრივი და ადამიანური მიზნების ურთიერთკავშირის და შერწყმის დადგენაში და თავის დამოკიდებულებაში ადამიანების მიზნების მიმართ, რომელიც ჩამოუყალიბდა კანონმდებლის მიზნების შესწავლის შედეგად.

აშ-შაᾱტიბᾱს ანალიზი იმისა, თუ როგორ შეიძლება შევიმეცნოთ კანონმდებლის მაღალი მიზნები, სრული სიახლე იყო *„უსᾱულ ალ-ფიკჰის“* სფეროში. მან შეკრიბა და ზუსტად ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი წესები ადამიანურ მიზნებთან, უზენაესი კანონმდებლის მიზნებთან და ამ უკანასკნელთა შეცნობასთან დაკავშირებით. აშ-შაᾱტიბᾱმ ასევე მოახდინა ზეგავლენა ისლამური სამართლის ჩვენეულ გაგებაზე, დამოუკიდებელი განსჯის გამოყენებაზე, ანუ *იჯთიჰადზე*, მის დადგენილებებზე, ისე როგორც ჩვენს უნარზე მივიღოთ მისი მითითებები და ვიცხოვროთ მის მიზნების შესატყვისად.

აშ-შაᾱტიბᾱ იქცა ისლამური სამართლის აღიარებულ ავტორიტეტად, მიზნებისა და შესასრულებელი ამოცანებისკენ გზაზე მიმართულების მომცემ ნიშნად, სამართლის ბრძნული დანიშნულებებისა და საიდუმლოებების განმმარტებლად. აშ-შაᾱტიბᾱმ აამაღლა მაკასიდ აშ-შარი'ა-ს როლი და სტატუსი იმ თვალსაზრისით, რაც შეეხება იჯთიჰადის პრაქტიკას.

დასკვნა

მაკასიდ აშ-შარი'ას შემდგომი კვლევების ჰორიზონტები

ამ ნაშრომში განხილული ზოგიერთი უმთავრესი საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი, ვისაც ცოდნის მიმართ სიყვარული გააჩნიათ, შთაგონებული იქნებიან, შეავსონ ის სიცარიელე, რაც არსებობს სამართალმცოდნეობის ამ ორი შეწყვილებული სფეროსა და მათი ფუძემდებლური საკითხების შესახებ ნაწერებში და შედეგად, ნათელს მოჰფენენ მათ. უნდა დავსვათ კითხვა, თუ როგორ შეიძლება დადგინდეს სამართლის უზენაესი მიზნები? მეტად უნდა დავკავდეთ სამართლებრივი დადგენილებებისა და მათი საფუძვლების წარმომავლობის ინდუქციური კითხვით, რათა განვავრცოთ *მაკასიდ აშ-შარი'ა-ს* ჩამონათვალი. ხელახლა უნდა გავიაზროთ, უნდა იყოს თუ არა დაყვანილი ხუთამდე ისლამური სამართლის უზენაესი მიზნები. ჩვენ შეგვიძლია ვიმუშავოთ *„მიზნებზე დაფუძნებული იჯთიჰადის“* კრიტერიუმების დასადგენად და ისლამური სამართლის უზენაესი მიზნების ყოველმხრივ შესწავლაზე.

ავტორი

აჰმად არ-რაისუნის მიღებული აქვს ისლამური კვლევების დოქტორის ხარისხი მუჰამმად ალ-ხამის უნივერსიტეტში, რაბათი, მაროკო. ის მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, არის გაზეთ „ათ-თაჯდიდის“ რედაქტორი და მაროკოში მუსლიმი სწავლულების ასოციაციის (ჯამიᲫათ ალ-ულამა) წევრი. პროფესორმა რაისუნიმ არაბულ ენაზე დაწერა მთელი რიგი წიგნებისა და ნაშრომი ალ-მაკასიდის თემაზე, რომელთაგან რამდენიმე სხვა ენებზეც ითარგმნა. ამჟამად ის ასწავლის უსულ ალ-ფიკჰსა და მაკასიდ ალ-შარიათს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კოლეჯში, მუჰამმად ალ-ხამის უნივერსიტეტში.

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასის წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

ადრეული ისლამური პერიოდის დასასრულთან ერთად, მუსლიმმა მეცნიერებმა გააცნობიერეს, რომ ისლამის სწავლება და პრინციპები და მუსლიმთა ყოველდღიური რეალობა და პრაქტიკა სულ უფრო შორდებოდა ერთმანეთს. მუსლიმებსა და ყურანს შორის ახლო კავშირის აღდგენის საუკეთესო საშუალებად მათ ისლამის მიზნების, ისლამში სამართლებრივი დადგენილებების განმაპირობებელი მიზეზების, ასევე შარიათის, ანუ ისლამური კანონების, ძირითადი მოტივებისა და მიზნების სიღრმისეული შესწავლა მიიჩნიეს.

წინამდებარე ნაშრომმა პირველად წარმოადგინა სხვადასხვა ასპექტით განხილული ისლამური სამართლის მიზნების კომპლექსური თეორია, ასევე მიზნებზე დაფუძნებული კანონთმცოდნეობის ფუძემდებლის, იმამ აბუ ისხაკ აშ-შატიბის მიერ შემოღებული მიზნებზე დაფუძნებული აზროვნების სიღრმისეული კვლევა.

დოქტორ ტაჰა ჯ. ალ-ალვანი - ისლამური და სოციალური მეცნიერებების უმაღლესი სკოლის (ისმუს) პრეზიდენტი, აშშ
არ-რაისუნი ნათელს ჰფენს აშ-შატიბის ინდუქციურ მეთოდს და გვიჩვენებს ამ მეთოდის ღირებულებასა და მნიშვნელობას. ყურანისა და სუნას მიმართ კონსტრუქციული მიდგომა განსაკუთრებით ვლინდება ავტორის მიერ *თა'ლილის,* ანუ ისლამური სამართლისა და სამართ-ლებრივი დადგენილებების ძირითადი მოტივებისა და მიზეზების დადგენის პრაქტიკის განხილვაში.

პროფესორ ზაქი ბადავი, მუსლიმთა კოლეჯის ყოფილი დეკანი.
წიგნში აშ-შატიბის იდეები წარმოდგენილია გასაგები ენით, რათა სპეციალისტებს დახმარება გაეწიოთ, ხოლო რიგით მკითხველს კი მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. ავტორი ცნობილი მეცნიერია და მისი ნაშრომი ისლამური სამართლის შესახებ არსებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია.

International Institute of Islamic Thought